03/08/2026

MES 6 26 0001009319

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქალაქი თბილისი,
სხდომის დაწყების დრო: 12:00 საათი
დასრულების დრო: 14:10 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე - III და IV საკითხები
სხდომის თავმჯდომარე: ციური დურული - I და II საკითხები
სხდომის მდივანი: ეკატერინე შაკიაშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2026 წლის 20 ივლისს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
2. **ნათია ჯოჯუა** - შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
3. **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
4. **მარიამ ბოჭორიშვილი** - ა(ა)იპ - ტად ვიკის დირექტორი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის ხელმძღვანელი;
5. **თამარ გამსახურდია** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
7. **ნინო მინდიაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
8. **ნარგიზ ფალავანდიშვილი** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
11. **ბაქარ ბერეკაშვილი** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
2. ქეთევან პავლიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - კავკასიის უნივერსიტეტი:

- **კახა შენგელია** - უნივერსიტეტის პრეზიდენტი;
- **ხატია გოგლიძე** - ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში;
- **დიანა მჭედლიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
- **ირმა კუხიანიძე** - იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი;
- **დავით ნატროშვილი** - კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი.

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

- **მარინა გედევანიშვილი** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **მეგი ხოსროშვილი** - უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი.

შპს - აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტი:

- **გიორგი ხუროძე** - პრეზიდენტი;
- **ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი** - უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი;
- **ქეთევან ხუროძე** - ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციული და ფინანსური მიმართულებით;
- **ხათუნა საგანელიძე** - ვიცე-პრეზიდენტი ჯანდაცვის მეცნიერებების მიმართულებით;
- **ავთანდილ გაგნიძე** - ვიცე-პრეზიდენტი სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების მიმართულებით;
- **ანი ბარისაშვილი** - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის სპეციალისტი;
- **დავით ბურჯანაძე** - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
- **ლანა ბოკუჩავა** - მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანი;
- **ლელა ვანიშვილი** - სტუდენტთა მიღების, მომსახურებისა და კარიერული განვითარების სამსახურის უფროსი;
- **მაგდა ლორთქიფანიძე** - სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
- **მარი მანჯგალაძე** - მედიცინის სკოლის აკადემიური პროცესების მართვის მენეჯერი;
- **მარიამ გელაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
- **მარიამ ხორავა** - ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიმართულების ადმინისტრაციული მენეჯერი;
- **მზია მაჩხოშვილი** - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
- **ნინო გამსახურდია** - სამეცნიერო კვლევების განვითარების სამსახურის უფროსი;
- **ნინო შარაშენიძე** - მედიცინის სკოლის დეკანი;
- **თიკო ბაჯელიძე** - იურიდიული სამსახურის უფროსი;
- **ლიკა ობგაიძე** - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):

ნინო ბოგვერაძე (თავმჯდომარე) - III საკითხი
ნინო ჯავახიშვილი (წევრი) - III საკითხი
დიანა მჭედლიშვილი (თავმჯდომარე) - IV საკითხი
ეკა ლეკაშვილი (წევრი) - IV საკითხი
ირინე ფხაკაძე (წევრი) - IV საკითხი
მელიტა მელიქიშვილი (წევრი).

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს სხდომას I და II საკითხების განხილვის დროს უხელმძღვანელა ციური დურულმა, ხოლო III და IV საკითხები განხილვის დროს - სერგო ჭელიძე. ხოლო სხდომის სხდომის მდივნად განისაზღვრა **ეკატერინე შაკიაშვილი.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
3. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს - აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
3. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს - აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი: შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- კი.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ და ნინო მინდიაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს უხელმძღვანელა ციური დურულმა.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მომჩივანი ცენტრში წარმოდგენილი საჩივრით ითხოვდა მის მიერ გადახდილი სწავლის საფასურის უკან დაბრუნებას. სწავლის საფასურის გადახდამდე, მომჩივანის წარმომადგენელმა, გაგზავნა ქვითარი უნივერსიტეტში, 660 ლარის ოდენობით, რომელიც ეხებოდა ხარისხის ცენტრში განაცხადის მომზადების და წარდგენის საფასურს, რომელიც, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, უკან არ ბრუნდება. რაც შეეხება უნივერსიტეტში საჩივრის ავტორის ჩარიცხვას, დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია იყო დახარვეზებული. შესაბამისად, მისი შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტში ჩარიცხვა ვერ მოხერხდა და გადაიდო გაზაფხულის სემესტრისთვის. არც ამ პერიოდში იყო ხარვეზი აღმოფხვრილი და მისი მომსახურება განახლდა 2025 წლის მარტის თვიდან. თავიდან გადაიგზავნა დოკუმენტაცია ხარისხის ცენტრში და 15 აპრილს მიიღო დაწესებულებამ აღიარების დოკუმენტი, 20 აპრილს კი ბრძანება მომჩივანის ჩარიცხვის თაობაზე. მაგრამ რექტორის მიერ ჩარიცხვის ბრძანება დღემდე არ არის გამოცემული, რადგან ხარისხის ცენტრიდან არ გადაიგზავნა სწავლის საფასურის ჩარიცხვის ქვითარი, რის გარეშეც, უნივერსიტეტი აღნიშნულ აპლიკანტს ვერ ჩარიცხავდა. მომჩივანს თანხის უკან დაბრუნებაზე უარი არ მიუღია, თუმცა, ამისთვის პირველ რიგში, საჭიროა სტუდენტის ჩარიცხვა. რაც შეეხება ქვითარს, მომჩივანს ჩარიცხული აქვს სწავლის საფასურის ნახევარი, თუმცა ეს ქვითარი არ არის გადაგზავნილი დაწესებულებაში, ამიტომ, თანხა უკან ვერ ბრუნდება. შესაბამისად, ცენტრი საბჭოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავი ანთი პოზიცია.

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ხარისხის ცენტრში რამდენჯერმე გაიგზავნა დაწესებულების პოზიცია და ბოლო წერილში აღნიშნულიც არის, რომ თანხა უკვე დაბრუნებულია. შესაბამისად, სტუდენტს 1495$ დაუბრუნდა 4 ივნისს. შესაბამისად, საკითხი აღმოფხვრილია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყებისდრო: 12:20
დასრულებისდრო: 12:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№547744, 08/05/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეორე საკითხი: შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- კი.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ და ნინო მინდიაშვილმა.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს უხელმძღვანელა ციური დურულმა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ხარისხის ცენტრის წარმომადგენელს წარედგინა საჩივრის შესახებ ინფორმაცია.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტის საჩივარი უკავშირდებოდა სწავლის თანხის დაბრუნებას, რადგან უნივერსიტეტმა არ მიაწოდა სტუდენტს ვიზასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რის გამოც, დადგენილ ვადებში ვერ შეიტანა განაცხადი საკონსულოში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განცხადებით, პრობლემა მომდინარეობდა სტუდენტის წარმომადგენელი

კომპანიის მხრიდან. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ირანში არსებული ვითარება, რის გამოც აპლიკანტები ვერ ახერხებდნენ ირანში არსებულ საქართველოს საკონსულოში ჩასვლას და ვიზის მიღებას, შედეგად თანხა დაუბრუნა მომჩივანს შესაბამის ვადებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავი ანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ არცერთი უცხოელი მომჩივანი სტუდენტის მიმართ არ დაურღვევია უნივერსიტეტს თავისი ვალდებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მომჩივანს 19 ივნისს დაუბრუნდა სწავლის საფასური.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრი, ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შესწავლილი რატომ იყო სტუდენტების საჩივრები ასე გახშირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჩივრები ძირითადად შემოვიდა პაკისტანელი მოქალაქეებისგან, მიზეზად კი მითითებული აქვთ რომ საომარი მდგომარეობის გამო, ვერ ახერხებენ ჩამოსვლას და აქვთ ვიზის პრობლემა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყებისდრო: 12:30
დასრულებისდრო: 12:37

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით (№428088, 14/07/2026) დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მესამე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნინო ბოგვერაძემ აღნიშნა, რომ მეხუთე სტანდარტის შეფასება და დასკვნის პროექტის შემუშავება განხორციელდა სტუდენტის საჩივრის საფუძველზე. უნივერსიტეტს გააჩნია შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რაც აღნიშნული სტანდარტების შეფასების კონტექსტში არის არსებითი. ეს ნაწილი შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. თუმცა, შეფასების პროცესში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები. სტუდენტის საჩივარი ეხებოდა მისი სტატუსის შეჩერებას ორსულობისა და გართულებული მდგომარეობის საფუძვლით. უნივერსიტეტში არსებოს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ დებულება, რომელიც განსაზღვრავს სტატუსის შეჩერების კონკრეტულ საფუძვლებს, სადაც გამოყოფილია ორსულობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ექსპერტები და საბჭო უნივერისტეტის შიდა რეგულაციებში ვერ ჩაერევა, თუმცა, აღნიშნული მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტისთვის უნდა იყოს გამჭვირვალე თუ როგორ იმოქმედოს. მან უნდა იცოდეს ვის მიმართოს ამ შემთხვევაში, როგორ შეადგინოს დოკუმენტაცია, როგორ მოწმდება ეს დოკუმენტაცია და ა.შ. პრობლემა ამ დეტალების არარსებობის გამო წარმოიშვა. სტუდენტმა რამდენჯერმე მიმართა ადმინისტრაციას, თუმცა უშედეგოდ. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასევე თანდართული იყო ორსულობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით უარყოფითი პასუხი მიიღო და მიუთითა, რომ არ იყო წარმოდგენილი ორსულობის შედეგად გაუარესებული ჯანმრთელობის ამსახველი დოკუმენტი. მეორე განცხადებას სტუდენტმა სხვა საავადმყოფოს ფურცელი დაურთო, სადაც ეს კონკრეტული გარემოებები მითითებული იყო, თუმცა ამ შემთხვევაში უარი გამომდინარეობდა დოკუმენტის ავთენტურობის ბუნდოვანებიდან. არსობრივი ხარვეზი შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებში არ არის, თუმცა საკითხი ეხება აღნიშნული მიზეზების ნათლად გაწერას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიან თი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არის ცოცხალი სისტემა და დოკუმენტების გაყალბება აქტიურად მიმდინარეობს, რაზეც დაწესებულებას რეაგირება უნდა ჰქონდეს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა არ გაითვალისწინეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. საჩივრის ავტორი ინფორმირებული იყო ყველა პროცედურასთან დაკავშირებით, რადგან მას მანამდეც ჰქონდა აკადემიური შვებულების აღების გამოცდილება. დაწესებულების დოკუმენტებში ყველაფერი დეტალურად არის გაწერილი, სტუდენტის სამოქმედო ინსტრუქციაც დეტალურადაა წარმოდგენილი. ამასთან, პირველი ორი კვირის განმავლობაში, სტუდენტს შეუძლია გააუქმოს ყველა საგანი და ის არაფერს კარგავს, ორი კვირის შემდეგ სტუდენტების მიერ მასშტაბური ცვლილება თავად პროცესს დააზიანებს, შესაბამისად, არსებობს ორკვირიანი ვადა. სტუდენტს ჰქონდა ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით, თუმცა გადაწყვეტილი არ ჰქონდა გააგრძელებდა თუ არა სწავლას და ორი კვირის შემდგომ მიიღო გადაწყვეტილება შეწყვეტის თაობაზე. მან იცოდა, რომ განცხადება უნდა დაეწერა და ცნობა წარმოედგინა. მან წარმოადგინა ცნობა, სადაც ჯანმრთელობის კუთხით რაიმე ხარვეზი არ ფიქსირდებოდა, ამიტომ არ დაუკმაყოფილა დაწესებულებამ მოთხოვნა. ამიტომ განემარტა სტუდენტს, რომ უნდა ყოფილიყო მტკიცებულება ფიზიკური აქტივობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, სტუდენტმა წარმოადგინა იგივე ცნობა, იგივე თარიღით, იგივე ნომრით, უბრალოდ ანამნეზი იყო შეცვლილი, ამიტომ, კომისიამ ავთენტურად არ მიიჩნია ეს დოკუმენტი. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ისინი შინაარსობრივად მეორდება და ფაქტობრივ გარემოებებს მოკლებულია. სტატუსის შეჩერების ერთ-ერთ მიზეზად მითითებულია ორსულობა, თუმცა მარეგულირებელ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში ხდება მოთხოვნის დაკმაყოფილება ორკვირიანი ვადის შემდეგ.
ექსპერტმა, ნინო ბოგვერაძემ აღნიშნა, რომ საკითხი ეხება იმას, თუ რამდენად ეფექტურია რეგულაციები სტუდენტთან მიმართებით. ასევე, მისი თქმით სტუდენტთან ინდივიდუალური შეხვედრები მიმდინარეობდა, თუმცა ეს დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი. ცალსახად არსებობს შეუსაბამობა სტუდენტის სტატუსის შესახებ დებულებაში, ჯანმრთელობის გაუარესება დამოუკიდებლად არსებული საფუძველია, ორსულობა დამოუკიდებლად არსებული საფუძველია და მშობიარობაც ანალოგიურად დამოუკიდებლად არსებული საფუძველია. ამიტომ საჭიროებს ეს საკითხები კონკრეტიზაციას.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრობლემა არ ეხებოდა სტუდენტის ინფორმირებულობას, არამედ იმას, რომ ის ცნობა არ ასახავდა იმ ინფორმაციას, რომლითაც უნდა შეჩერებულიყო სტუდენტი სტატუსი და ამიტომ წარმოიქმნა პრობლემა. ასევე, ცნობა გაცემულია ზუსტად იგივე თარიღით, რაც ცნობის ავთენტურობას ეჭვქვეშ აყენებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

საბჭოს წევრმა, რიმა ბერიაშვილმა აღნიშნა, რომ შეუძლებელია ორსულობის კუთხით კონკრეტულად ჩაშალო კრიტერიუმები და ამას უნივერსიტეტს ვერავინ მოსთხოვს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას კითხვით მიმართა სტუდენტმა - რა უნდა ჩაეწერა ექიმს, რომ დაკმაყოფილებულიყო სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნა, თუმცა ამაზე პასუხი მისგან არ მიუღია.
საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტი მანიპულაციური გზით ცდილობს გავლენის მოხდენას.
ექსპერტმა, ნინო ბოგვერაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უნდა მიუთითოს ის გარემოება, რომ ცალკე აღებული ორსულობით ვერ შეძლებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას და არა ჩამოწეროს ყველა ის შესაძლო გართულება, რაც ორსულობას შესაძლოა ახლდეს თან. რაც შეეხება გაყალბებას, დასკვნაშიც აღნიშნულია, რომ მეორე ცნობა შესაძლოა ყოფილიყო

გაყალბებული, მაგრამ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სხვადასხვა ცნობა ერთი და იგივე ნომრით არსებობს, შესაბამისად ეს უნდა გამოკვლეულიყო.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმოუდგენელია დოკუმენტის ავთენტურობის იურიდიულად დადგენა. ასევე, ორი კვირის ვადის გასვლის შემდეგ, უნივერსიტეტი არ აბრუნებს თანხას, შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით აინტერესებდა ექსპერტის პოზიციის მოსმენა.
ექსპერტმა, ნინო ბოგვერაძემ აღნიშნა, რომ მექანიზმები არსებობს და დასკვნაშიც აღნიშნულია ეს გარემოება. საკითხი ეხებოდა ამ მექანიზმების ეფექტიანობას ამ კონკრეტულ სტუდენტთან მიმართებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტის თქმით, დოკუმენტში დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი ორსულობა სტატუსის შეჩერების მიზეზად, თუმცა დებულებაში მითითებულია, რომ ორსულობა სტუდენტის ჯანმრთელობის გაუარესებასთან უნდა იყოს კავშირში.
ექსპერტმა ნინო ბოგვერაძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტში მიზეზად წერია ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის გაუარესება. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ერთ-ერთი რომელიმე გარემოების არსებობა თავისთავად წარმოშობს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველს. შესაბამისად, ლაპარაკია იმაზე, რომ კონკრეტულად და ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი მიზეზი.
დაქწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ორი კვირის შემდგომაც ხდება დაბრუნება, სტუდენტის მიმართ თუ გამოიკვეთება რაიმე ობიექტური მიზეზი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყებისდრო: 12:40
დასრულებისდრო: 13:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს - კავკასიის უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის პროცესში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 21-ე პუნქტების შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტს არაგეგმიური მონიტორინგის პროცესში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 კალენდარული დღე.

დაწესებულებას დაევალა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულება.

მეოთხე საკითხი: შპს - აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 11-13 მარტს კონტინგენტის გაზრდის წარმოების ფარგლებში. მისი თქმით, არსებული მოცემულობით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტუდენტების რაოდენობა - 600 - ით. თუმცა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა არის 15 ადგილობრივი და 515 უცხოელი. დაწესებულება ითხოვს 3000 ადგილს. ექსპერტებმა შვიდივე სტანდარტი შეაფასეს სტუდენტთა რაოდენობის ზრდის ჭრილში და შეფასების პროცესში გამოიკვეთა 4 რეკომენდაცია და 7 რჩევა. საბოლოოდ, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დაწესებულება მზად არის მოთხოვნილზე ნაკლები სტუდენტი სრულად უზრუნველყოს შესაბამისი გარემო-პირობებით. არსებული მოცემულობის შეფასების ჭრილში, გამოვიდა 1500 ადგილი, რაც თავად უნივერსიტეტს აქვს მოყვანილი თავის გათვლასა და სტრატეგიული განვითარების გეგმაში. თუმცა, ამასთანავე, მიმდინარეობს რამდენიმე ახალი პროგრამის აკრედიტაცია და მათი პროცესების წინსვლის პარალელურად, შესაძლოა სტუდენტთა რაოდენობის კვოტის ზრდაც. ასევე მან აღინიშნა რომ დაწესებულების წინსვლა აქვს ინტერნაციონალიზაციის ნაწილში, რაც საგრძნობლად ზრდის დაფინანსებას, გაცვლითი პროგრამების არსებობას და ა.შ. აკადემიური თვალსაზრისით განვითარება გამოიხატა ახალი ინგლისურენოვანი პროგრამების დანერგვის თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიან თი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ხუროძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის ხარისხი რჩება უმთავრეს ღირებულებად და სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული ყველა გადაწყვეტილება. ავტორიზაციის ფარგლებში უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. გაძლიერდა ინფრასტრუქტურა, გაიზარდა მატერიალური რესურსი და დაინერგა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. წამოჭრილი საკითხი წარმოადგენს უნივერსიტეტის თანმიმდევრული განვითარების, გაძლიერების, ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და თანამედროვე ხედვის ბუნებრივ გაგრძელებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა არის აკრედიტაციის პროცესში და დაწესებულება ელოდება აკრედიტაციის საბჭოს. როდესაც საუბარია სხვა ქვეყნების სტატუსზე, დაწესებულებას უშუალო კომუნიკაცია ჰქონდა ცენტრთან თვეების მანძილზე, რადგან ამ აკრედიტაციის პროცესისთვის ავტორიზაციის ყველა საჭირო საკითხი მზად ყოფილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომერე სერგო ჭელიძე დაინტერესდა, რამდენ პროგრამას ახორციელებს დაწესებულება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ხუროძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს მხოლოდ ერთ პროგრამას, თუმცა მიმდინარეობს 8 პროგრამის აკრედიტაციის პროცესი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყებისდრო: 13:35
დასრულების დრო: 13:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^{7} მუხლის მე - 2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს - აღმოსავლეთ -

დასავლეთ უნივერსიტეტს (ს/კ: 404535810) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1400 - ით, ხოლო "მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 1000 - ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 2026 წლის 20 ივლისს 14:10 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
შაკიაშვილი ეკატერინე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

ელექტრონული
მფარველობა
ელექტრონული